

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამშენებლო ფაკულტეტის
განვითარების სტრატეგიული გეგმა

2018-2024 წწ.

თბილისი 2018

სარჩევი

1. შესავალი
2. სამშენებლო ფაკულტეტის ტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები
3. სტრატეგიული გეგმის შემუშავების საფუძვლები
4. სიტუაციური ანალიზი
5. SWOT ანალიზი
6. სამშენებლო ფაკულტეტის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები და სტრატეგიული მიზნები 2018-2024 წწ.
7. სტრატეგიული მიზნების განხორციელებისათვის საჭირო რესურსები
8. სტრატეგიული გეგმის განხორციელების მონიტორინგის მექანიზმი
9. განვითარების გეგმა 2018-2024 წწ.
10. სამშენებლო ფაკულტეტის სამოქმედო გეგმა 2018-2020 წწ.

1. შესავალი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი აკადემიური თავისუფლების და ინსტიტუციურ პირებებში, ხელმძღვანელობს ევროპის უნივერსიტეტთა დიდი ქარტიის პრინციპებით და ორიენტირებულია როგორც საქართველოს, ისე ევროპული საგანმანათლებლო სტანდარტების დანერგვა-განვითარებაზე. ფაკულტეტზე განხორციელებული სამშენებლო დარგის, მენეჯმენტისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურების პროფესიული, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებით უზრუნველყოფილია ბოლონის პროცესში ინტეგრაცია და შესაბამისად საერთაშორისო დონის უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადება. სამშენებლო ფაკულტეტის საქმიანობა ეფუძნება ავტონომიურობის (როგორც გარე ისე შიგა), აკადემიური თავისუფლების, სწავლების, სწავლისა და კვლევის ერთიანობის, თანასწორობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.

სამშენებლო ფაკულტეტს დაარსებიდან დღემდე ღირსეულად უკავია წამყვანი პოზიცია არა მარტო საქართველოში, არამედ საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში.

2. სამშენებლო ფაკულტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები

სამშენებლო ფაკულტეტის მისიაა შექმნას ისეთი აკადემიური გარემო და ინფრასტრუქტურა, რომელიც პიროვნებას შესაძლებლობას მისცემს ჩამოყალიბდეს მაღალკვალიფიციურ კადრად, აღიზარდოს, თავისუფალი და დემოკრატიული სამყაროს დამოუკიდებელ, სრულფასოვან წევრად. ხელი შეუწყოს ფაკულტეტის თითოეული წევრის საზოგადოებრივ და აკადემიურ თვითგანვითარებასა და თვითრეალიზებას, რაც თანამედროვე თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობაა. ასწლიანი იმიჯის მქონე ფაკულტეტი არის ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტირებული ინჟინერიის, ტექნოლოგიებისა და მენეჯმენტის, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებისა და განვითარების კერა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებას საიმედო და განათლებული რესურსით.

ფაკულტეტი ამ მისიის შესაბამისად მიზნად ისახავს უზრუნველყოფს:

- აკადემიური უმაღლესი განათლების, ინოვაციური მეცნიერული კვლევების მაღალი ხარისხი მშენებლობისა და სამოქალაქო ინჟინერიის, მენეჯმენტისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურების სფეროში სწავლების ყველა საფეხურზე (პროფესიული, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა);
- პროფესიული და აკადემიური უმაღლესი განათლების განხორციელება თავისუფალი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით და, იმავდროულად შეინარჩუნოს სამეცნიერო და აკადემიური ცოდნის მნიშვნელობა და ღირებულება;
- მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისა და კვალიფიკაციის ამაღლების მოქნილი სისტემის დანერგვა და განვითარება;

- ფაკულტეტის პერსონალის აკადემიური თავისუფლება (რაც მოიცავს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, სტუდენტის სწავლის, სწავლებისა და კვლევის თავისუფლებას, მობილობის შეუზღუდავ შესაძლებლობებს);
- განათლებისა და მეცნიერების საზოგადოებისა და სახელმწიფოს სამსახურში ჩაყენება, კვლევისა და სწავლების რეგიონალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია, თანამშრომლობის განვითარება უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან;
- ფაკულტეტის სტრუქტურულ-ორგანიზაციულ ერთეულებს შორის ფუნქციების განაწილების და კოლეგიური მართვის სისტემის ოპტიმიზაცია.

სამშენებლო ფაკულტეტის ხედვა:

- ფაკულტეტის საქმიანობა ეფუძნება ავტონომიურობის, აკადემიური თავისუფლების, სწავლის, სწავლებისა და კვლევის ერთიანობის, თანასწორობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს, სწავლებისა და კვლევის პროცესის ინტერნაციონალიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო გამოცდილების არა მარტო პასიურ გაზიარებას, არამედ საერთაშორისო სამეცნიერო მიღწევებში თანასწორუფლებიან მონაწილეობას;
- ფაკულტეტზე ისეთი სასწავლო აღმზრდელობითი გარემოს შექმნა, რომლის საშუალებითაც იქნება რეალიზებული კაცობრიობის უმნიშვნელოვანესი ღირებულებები – თავისუფლება და ღირსება;
- ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის ინტელექტუალური ბაზისის შექმნა;
- მაღალი სტანდარტის კვლევისა და სწავლების განხორციელებისათვის ახალი ორგანიზაციული ერთეულების დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობს ფაკულტეტის ინსტიტუციურ განვითარებას;
- ინტერდისციპლინური სწავლებისა და კვლევის განვითარება.

ღირებულებები:

- ფაკულტეტის ავტონომია ეფუძნება ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტთა ერთიანობას და მოიცავს როგორც გარე ფაქტორებისაგან დამოუკიდებლობას, ისე შიდა ავტონომიურობას;
- ფაკულტეტისთვის, როგორც თავისუფალი აკადემიური სივრცისთვის, აუცილებელი კომპონენტია სწავლის, სწავლებისა და კვლევის ერთიანობა, რაც გულისხმობს იმას, რომ სწავლისა და სწავლების პროცესში მუდმივად ვითვალისწინებთ უახლესი კვლევის შედეგებს, რაც სწავლას უფრო ღრმასა და მრავალფეროვანს გახდის, ასევე უფრო მასშტაბურ საზოგადოებრივ დატვირთვას შესძენს სამეცნიერო-კვლევით მიღწევებს, ხელს შეუწყობს სამეცნიერო კვლევის შედეგების ნაყოფიერ გამოყენებას საზოგადოებრივი დანიშნულებით და მათ

ადაპტაციას სასწავლო პროგრამაში დასაწერად. ამავე დროს სტუდენტი აქტიურად უნდა იყოს ჩართული კვლევის პროცესების გაანალიზებაში;

- თანასწორობის პრინციპი გულისხმობს ფაკულტეტის ყველა წევრის თანასწორობას ფაკულტეტის მართვასა და სასწავლო-კვლევითი პროცესის ორგანიზებაში. დაუშვებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია.
- გამჭვირვალობის პრინციპი გულისხმობს ფაკულტეტის საქმიანობის, მათ შორის ფინანსური საქმიანობის სრულ გამჭვირვალობას. თავის საქმიანობაში ფაკულტეტი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტისა და საზოგადოების წინაშე.

3. სტრატეგიული გეგმის შემუშავების საფუძვლები

ფაკულტეტი, საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და ფაკულტეტის დებულების შესაბამისად, დამოუკიდებლად განსაზღვრავს ფაკულტეტის განვითარების პრიორიტეტებს ქვეყნის სტრატეგიული განვითარების, საზოგადოების, აკადემიური და სტრატეგიული პარტნიორების ინტერესების გათვალისწინებით.

ქვეყნის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად ფაკულტეტის ყველა რესურსი ფოკუსირებულია საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ინოვაციური საქმიანობის მიმართულებების განსავითარებლად, რაშიც ფაკულტეტს აქვს მნიშვნელოვანი ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის მიღწევები, განვითარებული ინფრასტრუქტურა და საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამისი ფაკულტეტებისაგან განსხვავებით, კონკურენტუნარიანობის უპირატესობა.

შემუშავებულია „სამშენებლო ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა“ 2018-2024 წლებისთვის, რომელიც სრულად შეესაბამება ფაკულტეტის მისიას და უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

სამშენებლო ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმას (2018-2024 წწ.) საფუძვლად დაედო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021; საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება და ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ძირითადი სარეკომენდაციო დოკუმენტები; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები; სამშენებლო ფაკულტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები; მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების შესაბამისი ფაკულტეტების გამოცდილება.

ფაკულტეტის განვითარების ახალი ეტაპის სამოქმედო პროგრამა დაეყრდნობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის სტრატეგიებს, ანუ ევროპული საგანმანათლებლო გარემოს ძირითად პარადიგმებს, ცნობილთ, როგორც - ბოლონიის, ლისაბონის, კოპენჰაგენის პროცესი და ლისაბონის კონვენცია, რაც, თავის მხრივ, ფაკულტეტის მდგრადი განვითარების

სტრატეგიაა.

ფაკულტეტის სამოქმედო გეგმა გაითვალისწინებს ფაკულტეტის საგანმანათლებლო სტრატეგიის ჰარმონიზაციის გადაუდებელ აუცილებლობას, ევროპულ საინჟინრო ორგანიზაციათა ფედერაციასთან „ევროპელი ინჟინრის“ პროფესიული წოდების მოპოვების პერსპექტივასა და **FEANI Register-ში** ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა იმპლემენტაციისათვის - საერთაშორისო საინჟინრო კვალიფიკაციათა ბაზარზე ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას.

ფაკულტეტში გაგრძელდება სტრატეგიულ კონცეპტუალიზაცია საქართველოს საერთაშორისო პარტნიორების საგანმანათლებლო პროგრამებთან ჰარმონიზაციისათვის, მხედველობაშია „ვაშინგტონის ხელშეკრულება“ (*Washington Accord*), „სიდნეის ხელშეკრულება“ (*Sydney Accord*) და „დუბლინის ხელშეკრულება“ (*Dublin Accord*).

სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის უზრუნველყოფა შრომის ბაზრისა და ქვეყნის აკადემიურ-ინტელექტუალური განვითარების მიმდინარე და მომავალ მოთხოვნებთან; სწავლების ყველა დონეზე განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; დასაქმებაზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანი კვალიფიციური კადრების მომზადება; პროფესიული და უმაღლესი განათლების, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სინთეზი; მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების (LLL) პრინციპის დაცვა; ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა; ფაკულტეტის საზოგადოებრივი, სოციალური და კულტურული როლის გაძლიერება და უნივერსალური დემოკრატიულ-ლიბერალური ღირებულებებისა და სამართალცნობიერების განვითარება; საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

4. სიტუაციური ანალიზი

ევროპის უმაღლესი განათლების სივრცესა (EHEA) და კვლევით სივრცეში (ERA) ინტეგრირების, განათლების ხარისხის განვითარებისა და საგანმანათლებლო სისტემის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, სამშენებლო ფაკულტეტზე არაერთი ნაბიჯი გადაიდგა: ამოქმედდა უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი სწავლების სისტემა, დაინერგა კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS), დაიხვეწა შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები, საგანმანათლებლო პროგრამები შესაბამისობაში მოვიდა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და აკრედიტაციის მოთხოვნებთან, დაიხვეწა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის სისტემა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ინტენსიურად დაინერგა და წარმატებით ხორცილდება ქვეყნის პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები.

სამშენებლო ფაკულტეტი აქტიურადაა ჩართული „ტურინის პროცესში“. რამაც ფაკულტეტს საშუალება მისცა ყოველწლიურად გააუმჯობესოს შედეგები პროფესიული განათლების ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და პარტნიორული ურთიერთობების განვითარების კუთხით. სამშენებლო ფაკულტეტი ზრუნავს, რომ პროფესიული განათლება აღარ განიხილებოდეს, როგორც ვიწრო პროფესიული ცოდნისა და უნარების განმავითარებელი სფერო, არამედ როგორც მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის, თვითრეალიზაციის, სოციალური კეთილდღეობის, დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშემწყობი სისტემა. სწორედ ამიტომ, ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა პროფესიულ განათლებაში სოციალური პარტნიორობისა და კერძო სექტორის მონაწილეობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცის სიტუაციური ანალიზი გვარწმუნებს, რომ დასაქმებასა და შრომის ბაზარზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური და პროფესიული განათლებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია სტუდენტის ჩართულობა სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაში. ამ კუთხით ფაკულტეტი ითვალისწინებს სტუდენტისათვის ისეთი სასწავლო და საწარმოო პრაქტიკების ორგანიზებას, რომლებიც მას შესაძლებლობას მისცემს შეამოწმოს, დახვეწოს და განავითაროს ცოდნა და უნარები, შრომის ბაზრის რეალურ მოთხოვნებს დაუახლოოს აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები, გაითავისოს მომავალ შრომით საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობები და გამოწვევები, თანასწორ შესაძლებლობათა პირობებში თავისუფალ შრომის ბაზარში ჩაერთოს, როგორც კონკურენტუნარიანი სუბიექტი.

აღნიშნულთან ერთად წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ფაკულტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება; საბიბლიოთეკო ფონდის გაძლიერება; სტუდენტისა და პერსონალისთვის კომფორტული სასწავლო, საკვლევო და სამუშაო გარემოს შექმნა; უმაღლესი განათლების სისტემაში ახალგაზრდის მოზიდვის მექანიზმის ამოქმედება; წარმატებული პროფესორ-მასწავლებლებისთვის წახალისების „ბონუსების“ სისტემის დანერგვა და სხვა.

წინ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, დღეისთვის უნივერსიტეტში მაინც არსებობს არაერთი გადასაწყვეტი საკითხი, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს: საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-მოდულიზაციის პროცესში სტუდენტის, კურსდამთავრებულისა და დამსაქმებლის ნაკლები ჩართულობა; სამეცნიერო კომპონენტის საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრირების სირთულე; ფაკულტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისა და, აგრეთვე, ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის არასაკმარისად აქტიური ჩართულობა კვლევისა და სწავლების პროცესში.

ამის გარდა გაგრძელდება ფაკულტეტში „ცოდნის ეკონომიკის“ ელემენტთა ორგანიზების ხელშემწყობი ღონისძიებების კომპლექსი, რაშიც იგულისხმება: საინოვაციო ინფრასტრუქტურა (ლაბორატორიები, ვირტუალური ლაბორატორიები,

კომპიუტერული კლასები, კომპიუტერიზებული ბიბლიოთეკა, საპროექტო-საკონსულტაციო ჯგუფები) და მეცნიერებასა და წარმოებას შორის აქტიური თანამშრომლობა.

გაუმჯობესდება ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა: აუდიტორიების, ლაბორატორიების, საპროფესოროების, ხარისხის მართვის სამსახურის, მენეჯერის სერვისის, დეკანატის, დერეფნებისა და სათავსოების დიზაინი და თანამედროვე ავეჯით მოწყობა. ასევე, აუდიტორიები აღჭურვება ელექტრონული სწავლებისათვის განკუთვნილი ხელსაწყო-დანადგარებით.

უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილის საერთაშორისო სამეცნიერო ავტორიტეტითა და უდიდესი ძალისხმევით, მიღწეულია შეთანხმება ავსტრიის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს ხელისუფლებას შორის ფაკულტეტის სტრუქტურაში ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ულტრათანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მშენებლობისა და აღჭურვის შესახებ.

დაარსებულია სასწავლო-სამეცნიერო ხიდსაცდელი ცენტრი, რომელშიც ხდება ნაგებობების გამოკვლევა-გამოცდა. 2016 წელს ხიდსაცდელმა ცენტრმა გაიარა აკრედიტაცია და აზიის განვითარების ბანკმა გამოუყო სესხი, რომლის დახმარებით მოხდება ცენტრის გადაიარაღება და პროფესიული განვითარებისა. გამოყოფილი სესხი სამეტაპიანია. პირველ ეტაპზე, იტალიური ფირმის მიერ, მოხდება არსებული მდგომარეობის ანალიზი და ამ ანალიზის საფუძველზე დადგინდება ცენტრისათვის საჭირო ხელსაწყოების ნუსხა, მათი განთავსების ადგილის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები და რეკომენდაციის სახით – განისაზღვრება ცენტრის სტრუქტურა. ამ პროექტს ახორციელებს ჩვენთან ერთად, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

აღნიშნული „ჰიბრიდიზაცია“ დღის წესრიგში ქმნის ახალ რეალობას ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების მთავარი მდგენელის - **უმადლესი განათლების მოდერნიზაციის დღის წესრიგის** უზრუნველსაყოფად, რის მიღწევაც შესაძლებელია მაღალი დონის კვლევების ორგანიზებით კვლევით ინსტიტუტებში (მიმდინარე წელს დასრულდება არაერთი ინსტიტუტის მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი; ეს ტენდენცია გაგრძელდება მომავალშიც შესაბამისი ულტრათანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვით) და ამ კვლევის შედეგების შემდგომი იმპლემენტაციით ფაკულტეტის სწავლების დარგის ყველა დონეზე. გარდა საშინაო ფაქტორისა, მაღალი დონის თანამედროვე კვლევების შედეგების მოზიდვა მოხდება, მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე პარტნიორი ინსტიტუციებიდან ჩვენი ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

5. „SWOT“ ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> განათლების სფეროში უდიდესი ტრადიცია, ბრენდის იმიჯი და რეპუტაცია; 	<ul style="list-style-type: none"> სასწავლო პროგრამების შედგენასა და განვითარებაში დამსაქმებლების ჩართულობის არამასშტაბურობა;

<ul style="list-style-type: none"> • გამოცდილი და მაღალკვალიფიციური აკადემიური, სამეცნიერო და დამხმარე პერსონალი; • მსხვილ საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში თანამშრომლობა; • უმაღლესი განათლების სამივე საფეხურისთვის აკრედიტებული /ავტორიზებული საგანმანათლებლო პროგრამები როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე; • პროფესიული განათლების ხელშეწყობა; • თანამედროვე ცენტრალიზებული საგამოცდო ცენტრები; • სტუდენტების ხელშეწყობის ონლაინ მექანიზმები; • ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის გამოცდილება; • უდიდესი ტრადიციების მქონე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები; • თანამედროვე საექსპერტო მომსახურების ცენტრები; • კაპიტალური შენობა-ნაგებობები და მათი ხელსაყრელი მდებარეობა; • მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; 	<ul style="list-style-type: none"> • უცხოელ სტუდენტთა მხრივ საგანმანათლებლო მომსახურებაზე დაბალი მოთხოვნილება; • სტუდენტური სოციალური ინფრასტრუქტურის (საერთო საცხოვრებლების) არარსებობა; • აკადემიური პერსონალის მაღალი საშუალო ასაკი; • საერთაშორისო პროექტებში ზოგიერთი დეპარტამენტის ჩართულობის დაბალი მაჩვენებლები; • ინტერდისციპლინური სწავლებისა და კვლევების არასისტემურობა; • სწავლების პროცესში დოქტორანტების ჩართულობის დაბალი მაჩვენებლები; • დაბალი ამოღება სოციალური მდგომარეობის გამო, სტუდენტური შეღავათიანი და გრძელვადიანი სესხების არ არსებობა.
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • უცხოელ სტუდენტთა მოზიდვა; • სტუდენტური პროექტების რეალიზება ინოვაციური ლაბორატორიების ბაზაზე; • მატერიალური ბაზის სრულყოფა; • სტუდენტთა კარიერული ცენტრის შექმნა; • თემაზე ორიენტირებული სწავლება; • სასწავლო-კვლევით პროცესში უცხოელი მოქმედი და ემერიტუსი პროფესორების ჩართულობა. 	<ul style="list-style-type: none"> • თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის სიმწირე.

6. ფაკულტეტის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები და სტრატეგიული მიზნები

I პრიორიტეტული მიმართულება ინსტიტუციური განვითარება;

II პრიორიტეტული მიმართულება ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება;

III პრიორიტეტული მიმართულება სტუდენტური ცხოვრების მხარდამჭერი გარემოს შექმნა;

IV პრიორიტეტული მიმართულება საგარეო ურთიერთობების განვითარება, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.

განვითარების სტრატეგიული მიზნები

სტრატეგიული მიზანი 1 – მართვის ხარისხის სისტემის გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიზანი 2 – ადამიანური და ფინანსური რესურსების განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 3 – სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვა;

სტრატეგიული მიზანი 4 – ინსტიტუციური ეფექტურობის გაზრდა ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებით;

სტრატეგიული მიზანი 5 – სწავლისა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა;

სტრატეგიული მიზანი 6 – მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 7 – სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა;

სტრატეგიული მიზანი 8 – სტუდენტური სერვისების განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 9 – ინტერნაციონალიზაციის ხარისხისა და საერთაშორისო ცნობადობის გაზრდა;

სტრატეგიული მიზანი 10 – საზოგადოებასთან კავშირის განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 11 – ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო ცნობადობის გაზრდა.

I პრიორიტეტული მიმართულება ინსტიტუციური განვითარება

ინსტიტუციური განვითარების მთავარი პრიორიტეტია ახალი აკადემიური სტრუქტურული ერთეულების განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს ფაკულტეტზე სასწავლო-კვლევითი პროცესის გაუმჯობესებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დასახულია პრიორიტეტული მიმართულებების მიზნები და ამოცანები:

მიზანი 1

მართვის ხარისხის სისტემის გაუმჯობესება

ამოცანები:

- ფაკულტეტის მართვის ტექნოლოგიური პლატფორმის სისტემაშემქმნელი გადაწყვეტილების მიღებისა და პროგნოზირების სფეროთა არსობრივი მახასიათებლების სრულყოფა;
- ფაკულტეტის ადმინისტრაციის არააკადემიურ თანამდებობათა ფარდობითი ღირებულებების დადგენა, კლასიფიცირების მეთოდოლოგიის შედგენა-განახლება;
- ფაკულტეტის მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის განვითარება და შესაბამისი ინდიკატორების სრულყოფა;
- მონიტორინგის სისტემის შიგა მექანიზმების დანერგვა და შესაბამისი ინდიკატორების სრულყოფა.

მიზანი 2

ადამიანური და ფინანსური რესურსების განვითარება

ამოცანები:

- ადამიანური რესურსების მიზნობრივად გამოყენება ფაკულტეტის მართვის საქმიანობაში;
- ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა;
- კომერციალიზაციის მასშტაბის ზრდა.

მიზანი 3

სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვა

ამოცანები:

- ყოველწლიური მისაღები კონტინგენტის ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა;
- სტანდარტების შესაბამისად სტუდენტთა კონტინგენტის, ადამიანური და მატერიალური რესურსების თანაფარდობის სრულყოფა.

მიზანი 4

ინსტიტუციური ეფექტურობის გაზრდა ინფრასტრუქტურისა და მატერიალურტექნიკური ბაზის განვითარებით

ამოცანები:

- საბიბლიოთეკო მომსახურების მოდერნიზაცია და განახლება;
- ექსპერიმენტული სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ლაბორატორიების განახლება-შექმნა;
- კვებისა და ჯანდაცვის ობიექტების რეორგანიზაცია;

- უძრავი და მოძრავი ქონების განახლება და მათი მიზნობრივი გამოყენების პოლიტიკის შემუშავება;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისათვის, ასევე პერსონალისათვის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობაში მოყვანა;
- მედიაარქივის შექმნა.

II პრიორიტეტული მიმართულება ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ეფუძნება სწავლის, სწავლებისა და კვლევის ერთიანობის პრინციპს. იმავდროულად, მნიშვნელოვანია საგნებზე ორიენტირებულის ნაცვლად თემებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება ინტერნაციონალურ დონეზე.

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური წინსვლისათვის აუცილებელია კვლევების ინოვაციური არეალის გაფართოება, კვლევითი საქმიანობის ორიენტირება

ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი, პრაქტიკული ხასიათის პრობლემების გადასაჭრელად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასახული არის შემდეგი მიზნები და ამოცანები:

მიზანი 5

სწავლისა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა

ამოცანები:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა;
- სასწავლო პროგრამების საერთაშორისო პროგრამული აკრედიტაციის დანერგვა და სწავლების ინტერნაციონალიზაცია;
- ხარისხის გაზრდის მიზნით აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- შეზღუდული შესაძლებლობების სტუდენტებისათვის სწავლების მეთოდის დანერგვა და განვითარება.

მიზანი 6

მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის განვითარება

ამოცანები:

- უწყვეტი განათლების როგორც მასობრივი, ისე მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლების უზრუნველსაყოფად ელექტრონული სწავლების მეთოდოლოგიის შექმნა და მისი პრაქტიკულად გამოყენება;

- კვლევაზე დაფუძნებული უწყვეტი საპილოტე პროგრამების მომზადება, აპრობაცია და გავრცელება;
- შრომისა და განათლების ბაზრის პერმანენტული კვლევა და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ბაზარზე მოთხოვნადი კადრების მიზნობრივი სწავლება უწყვეტი განათლების აპრობირებული მეთოდების გამოყენებით.

მიზანი 7

სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა ამოცანები:

- ფაკულტეტის სამეცნიერო პოტენციალის გაზრდის მიზნით ადგილობრივ და მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან კავშირების განვითარება;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების ეფექტიანი ადმინისტრირება;
- პლაგიატის ფაქტების გამოვლენისა და თავიდან აცილების მექანიზმების განვითარება.

III პრიორიტეტული მიმართულება სტუდენტური ცხოვრების მხარდამჭერი გარემოს შექმნა

ფაკულტეტის აკადემიურ საქმიანობაში სტუდენტების ჩართულობის გაძლიერება. სტუდენტური თვითმმართველობის დასავლური სტანდარტების მიხედვით რეფორმირება.

მიზანი 8

სტუდენტური სერვისების განვითარება

ამოცანები:

- სტუდენტთა ინდივიდუალური უნარების შესწავლა;
- სტუდენტთა ჩართულობა ფაკულტეტის მართვასა და საგანმანათლებლო პროგრამების შედგენა-დახვეწის პროცესში;
- სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებსა და გრანტებში სტუდენტთა ჩართულობის მხარდაჭერა;
- სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის ზრდა;
- შეზღუდული შესაძლებლობების სტუდენტების მხარდაჭერა;
- მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა წახალისება;
- სტუდენტური აქტივობების, სტუდენტური ორგანიზაციების მიერ შემუშავებული პროექტებისა და იდეების კოორდინაცია და შესაბამის სტრუქტურებთან მათი ინტერესების დაცვა.

IV პრიორიტეტული მიმართულება საგარეო ურთიერთობების განვითარება,

ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

ფაკულტეტის საერთაშორისო ცნობადობის გაზრდა. სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის საფუძველზე ინტერდისციპლინური კვლევისა და სწავლების განვითარება, როგორც ინტერნაციონალიზაციის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა.

სამშენებლო ფაკულტეტის გრძელვადიანი განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია და გლობალური კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, ფაკულტეტის საერთაშორისო ხილვადობის გაზრდა, გაძლიერება.

აღნიშნული პრიორიტეტის შესაბამისად განსაზღვრულია საგარეო ურთიერთობების განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნები და ამოცანები.

მიზანი 9

ინტერნაციონალიზაციის ხარისხისა და საერთაშორისო ცნობადობის გაზრდა: ამოცანები:

- მსოფლიოს წამყვან აკადემიურ ორგანიზაციებთან (უსდ-ები და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები) საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელების გაფართოება, ახალი პარტნიორული და თანამშრომლობითი ურთიერთობების დამყარება და არსებული ურთიერთობების განვითარება, რაც გულისხმობს ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობას;
- საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა. ერთობლივი კვლევითი პრაქტიკის დანერგვა;
- უცხოელი სტუდენტებისა და აკადემიური სამეცნიერო პერსონალის მოზიდვა;

მიზანი 10

საზოგადოებასთან კავშირის განვითარება

- ადგილობრივ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორული ურთიერთობების განვითარება;
- საზოგადოებაში ცოდნის გავრცელება;
- ფაკულტეტის ოფიციალური საკომუნიკაციო არხების ინფორმაციული უზრუნველყოფა-მართვა.

7. სტრატეგიული მიზნების განხორციელებისათვის საჭირო რესურსები

ადამიანური რესურსები:

ადმინისტრაციული პერსონალი – 5;

აკადემიური პერსონალი – 143;

მოწვეული მასწავლებლები – 31;

8. სტრატეგიული გეგმის განხორციელების მონიტორინგის მექანიზმი

სტრატეგიული გეგმის შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებს ფაკულტეტის საბჭო, რომელიც ყოველწლიური გეგმების შესაბამისად ისმენს საკითხთა შესრულებას და ახდენს სათანადო რეაგირებას.

ამჟამად მიმდინარეობს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების კონტროლის მექანიზმის *სრულყოფა*. *კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მენეჯერთან ერთად, პერიოდულად განიხილავს გეგმის შესრულების მიმდინარეობას, მოითხოვს სტრუქტურული ერთეულებიდან ადგილებზე განხილულ ყოველწლიურ თვითშეფასებას და შეისწავლის მის რეალობასთან შესაბამისობას. მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები წარედგინება ფაკულტეტის დეკანს ფაკულტეტის საბჭოზე განხილვისა და რეაგირების მიზნით.*